

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2017 წლის 30 ივნისი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 დეკემბრის №24 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 დეკემბრის №24 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 09/12/2016, 190020020.35.144.016266) და დადგენილების დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1- ით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე არდემანაშვილი

დანართი №1

ქარელის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წ ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14214,36	13219.96	4559.50	8660.46	11927.2	3857.9	8069.3
გადასახადები	668,19	1550.54	0.0	1550.54	1550.0	0.0	1550.0
გრანტები	11183,31	10602.0	4559.50	6042.50	9339.2	3858.0	5481.2
სხვა შემოსავლები	2362,86	1067.42	0.0	1067.42	1038.0	0.0	1038.0
ხარჯები	8197,3	7040.51	46.64	6993.87	6814.8	252.5	6562.3
შრომის ანაზღაურება	1662,35	1792.41	0.0	1792.41	1748.2	0.0	1748.2
საქონელი და მომსახურება	1226,17	454.49	46.64	407.85	481.9	0.0	481.9



სუბსიდიები	2185,79	3435.25	0.0	3435.25	3406.8	0.0	3406.8
გრანტები	310,32	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1492,05	957.7	0.0	957.7	716.1	72.6	643.5
სხვა ხარჯები	1320,61	400.65	0.0	400.65	461.8	179.9	281.9
საოპერაციო საღდო	6017,06	6179.45	4512.86	1666.59	5112.4	3605.4	1507.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7991,19	7013.84	4513.36	2500.48	5777.3	3610.6	2166.7
ზრდა	8003,61	7037.61	4513.36	2524.25	5862.3	3610.6	2251.7
კლება	12,42	23.77	0.0	23.77	85.0	0.0	85.0
მთლიანი საღდო	-1974,13	-834.38	-0.50	-833.88	-664.9	-5.2	-659.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1989,13	-846.61	-4.25	-842.36	-692.8	-5.2	-687.6
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1989,13	846.61	4.25	842.36	692.9	5.2	687.7
ვალუტა და დეპოზიტები	1989,13	846.61	4.25	842.36	692.9	5.2	687.7
ვალდებულების ცვლილება	-15.0	-12.23	-3.75	-8.48	-27.9	0.0	-27.9
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წ. ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	14226,776	13243.74	4559.5	8684.23	12012.2	3857.9	8154.2
შემოსავლები	14214,35	13219.96	4559.50	8660.46	11927.2	3857.9	8069.2
არაფინანსური აქტივების კლება	12,42	23.77	0.0	23.77	85.0	0.0	85.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	1989,13	846.61	4.25	842.36	692.9	0.0	692.9
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



გადასახდელები	16215,9	14090.3	4563.8	9526.6	12705.0	3863.1	8841.9
ხარჯები	8197,3	7040.5	46.6	6993.9	6814.8	252.5	6562.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	8003,6	7037.6	4513.4	2524.2	5862.3	3610.6	2251.7
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	15.00	12.2	3.7	8.5	27.9	0.0	27.9
ნაშთის ცვლილება	-1989,1	-846.61	-4.25	-842.36	-692.9	-5.2	-687.7

მუხლი 3. ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11927.2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14214,35	13219.96	4559.50	8660.46	11927.2	3858.0	8069.2
გადასახადები	668,19	1550.54	0.0	1550.54	1550.0	0.0	1550.0
გრანტები	11183,3	10602.0	4559.5	6042.5	9339.2	3858.0	5481.2
სხვა შემოსავლები	2362,86	1067.42	0.0	1067.42	1038.0	0.0	1038.0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1550.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	668,2	1550.54	0.0	1550.54	1550.0	0.0	1550.0
საშემოსავლო გადასახადი	0.0	420.31	0.0	420.31	450.0	0.0	450.0
ქონების გადასახადი	668,2	1130.23	0.0	1130.23	1100.0	0.0	1100.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	376,98	562.77	0.0	562.77	637.0	0.0	637.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,89	4.45	0.0	4.45	5.0	0.0	5.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,09	0.02	0.0	0.02	0.0	0.0	0.0



არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	3,8	4.44	0.0	4.44	5.0	0.0	5.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	217,9	237.47	0.0	237.47	222.0	0.0	222.0
ფიზიკური პირებიდან	197,4	215.58	0.0	215.58	200.0	0.0	200.0
იურიდიული პირებიდან	20,5	21.89	0.0	21.89	22.0	0.0	22.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	69,4	228.07	0.0	228.07	236.0	0.0	236.0
ფიზიკური პირებიდან	11,49	17.57	0.0	17.57	17.0	0.0	17.0
იურიდიული პირებიდან	57,91	210.50	0.0	210.50	219.0	0.0	219.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 9339.2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	11183,3	10602.0	4559.5	6042.5	9339.2	3858.0	5481.2
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	11183,3	10602.0	4559.5	6042.5	9339.2	3858.0	5481.2
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	6385,1	6042.5	0.0	6042.5	5481.2	0.0	5481.2
გათანაბრებითი ტრანსფერი	6177.0	5839.5	0.0	5839.5	5268.2	0.0	5268.2
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	208,1	203.0	0.0	203.0	213.0	0.0	213.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4798,2	4559.5	4559.5	0.0	3858.0	3858.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა	3097,34	3496.51	3496.51	0.0	3265.7	3265.7	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1035.269	1063.0	1063.0	0.0	0.0	0.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	524.9	524.9	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	665,6	0.0	0.0	0.0	67.4	67.4	0.0



მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1038.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2362,86	1067.42	1038.0
შემოსავლები საკუთრებიდან	1237,72	441.73	384.2
პროცენტები	178,4	83.24	69.2
რენტა	1059,32	358.49	315.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1000,4	309.36	275.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	58,9	49.13	40.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	211,1	191.66	195.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	196,7	179.84	185.0
სანებართვო მოსაკრებელი	59,1	21.61	25.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	137,5	158.23	160.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.0	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	14,42	11.82	10.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14,42	11.82	10.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	710,62	374.29	358.8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	203,4	59.74	100.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6814.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	8197,3	7040.51	46.64	6993.87	6814.8	252.5	6562.3
შრომის ანაზღაურება	1662,35	1792.41	0.0	1792.41	1748.2	0.0	1748.2
საქონელი და მომსახურება	1226,17	454.49	46.64	407.85	482.0	0.0	482.0
სუბსიდიები	2185,8	3435.25	0.0	3435.25	3407.9	0.0	3407.9
გრანტები	310.318	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1492,05	957.70	0.0	957.70	716.1	72.6	643.5



სხვა ხარჯები	1320,6	400.65	0.0	400.65	461.8	179.9	281.9

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5862.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5862.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	608,6	15.7	106.2
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	23,7	19.7	14.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5862,5	6512.3	5577.7
04 00	განათლება	1109,4	134.7	85.6
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	399,4	355.2	78.8
სულ ჯამი		3025.74	7037.6	5862.3

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 85.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	12,4	23.77	85.0
ძირითადი აქტივები	0.0	5.76	77.6
არაწარმოებული აქტივები	12,4	18.01	7.4
მიწა	12,4	18.01	7.4

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრიტერიუმში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2015 ფაქტი	2016 ფაქტი	2017 გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2728,3	2212.7	2338.1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2728,3	2212.7	2322.3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2728,3	2212.7	2274.5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0.0	47.8



7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0.0	15.8
702	თავდაცვა	121,0	121.6	119.6
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	315.0	0,0	0.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	0.0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	315.0	0,0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4838,6	5320.20	5613.7
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1386,7	1146.0	4.2
70421	სოფლის მეურნეობა	1386,7	1146.0	4.2
7045	ტრანსპორტი	3451,9	4174.1	5609.5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3451,9	4174.1	5609.5
705	გარემოს დაცვა	954,2	692.6	592.5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	512,0	692.6	592.5
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	442,2	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1902,6	1603.1	540.9
7061	ბინათშენებლობა	322,5	204.1	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	6.0	5.4	5.6
7063	წყალმომარაგება	411,7	831.3	204.6
7064	გარე განათება	195,2	259.0	228.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	967,3	303.3	102.7
707	ჯანმრთელობის დაცვა	80.0	80.0	80.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	80.0	80.0	80.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1401,9	1362.2	984.1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	607,0	639.8	447.2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	668,9	612.5	468.9
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	126.00	109.9	68.0
709	განათლება	2323,6	1647.7	1625.2
7091	სკოლამდელი აღზრდა	2301,6	1542.7	1605.4
7092	ზოგადი განათლება	0.0	21.0	19.8
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	21.0	19.8
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	22.0	84.0	0.0
710	სოციალური დაცვა	1535,7	1038.0	783.1



7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	60.0	60.00	60.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	737,3	887.4	563.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	738,4	90.6	160.1
	სულ	16200,9	14078.1	12677.1

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო – 664.9 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 692.85 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 692.9 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -27,93 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 60,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების, აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს 20 ათასი ლარი.

მუხლი 15. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღებია მიზნობრივი ტრანსფერი 213,0 ათასი ლარი, ხოლო ხარჯები გაწერილია 207,1 ათას ლარზე, კერძოდ:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 80,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 119.6 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 7,5 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 16. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქარელის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქარელის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, ასევე პროგრამის ფარგლებში – 17 წლამდე ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა, ყოველი წლის გაზაფხულზე – მუნიციპალიტეტში მცხოვრებ რეზერვისტთა გადამოწმება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოასფალტდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, რომელიც ემსახურება ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდ ნაწილს. მოსახლეობას აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან, განათლებისა და ჯანდაცვის ობიექტებთან, საკომუნიკაციო ბაზართან.

გზების პრობლემა აწუხებს როგორც სატრანსპორტო საშუალებების მესაკონტროლებლებს, ისე ქვეითად მოსიარულეებს, სავალ ნაწილზე გაჩენილია ორმოები, მოსახლეობა ითხოვს გზის გაკეთებას. განსაკუთრების ჭირს გადაადგილება ზამთრის პერიოდში.

საქართველოს მთავრობის №480 (14.03.2017წ) განკარგულებით (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) ქარელის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხით მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების მოხისი-კოდა-ვარდისუბანის, ზემო-ხვედურეთის, ხეობა – ჭანდრების ადგილობრივი გზის ასფალტირება და ქ. ქარელის ქუჩების ასფალტირება.

საქართველოს მთავრობის №693 (6.04.2017წ.) განკარგულებით (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) ქარელის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხით მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების გვერდინეთი-ქოზიფას გზის ასფალტირება.

პროექტის მიზანია ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

პროექტი შესაბამისობაშია შიდაქართლის რეგიონულ სტრატეგიასთან;

აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ მოსახლეობას გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა. გაუადვილდება გადაადგილება, მოსახლეობა მარტივად და სწრაფად შეძლებს სხვადასხვა სერვისების მიღება. ამ გზით ბავშვები უფრო მარტივად ივლიან სკოლაში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში. აღნიშნული პროექტი მდგრადია, რადგანაც რეაბილიტაციის შემდგომ გზების მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ქარელის მუნიციპალიტეტი.



ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები; უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავების პროგრამის განხორციელება, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება სასმელი წყლის სისტემებს.

ბ.ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოებში: ქ. ქარელის, დ. აგარის, სოფლების: ქვენატკოცის, რუისის, ურბნისის, ბებნისის, კეხიჯვრის, ფცის, ქვემო ხვედურეთის, ზემო ხვედურეთის, მოხისის, ბრეთის, დირბი, ბრეთის მეურნეობა, ავლევი, ცერონისი, კნოლევი, აბისი, აბისისთავი, ბერძენაული, სასირეთი, ღოღეთი, ქვემო შაქშაქეთი, კოდავარდისუბანი, ზემო შაქშაქეთი, ბრეძა, ატოცი, ჭვრინისი;

ბ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 35 ადმინისტრაციული ერთეულის (ქ. ქარელის, დ. აგარის, სოფლები: ქვენატკოცა, ბებნისი, ლეთეთი, ქვემო ხვედურეთი, ზემო ხვედურეთი, კეხიჯვარი, ქობესაანთ უბანი, თათანაანთ უბანი, სამწევრისი, ვედრება, სანებელი, რუისი, ურბნისი, ბრეთი, სალოლაშენი, არადეთი, წვერი, სასირეთი, ბრეთის მეურნეობა, ძლევიჯარი, ყინწვისის, ზღუდერი, მოხისი, ახალსოფელი, დირბის, დვანი, ტახტიძირი, ფცა თამარაშენი, ქვემო შაქშაქეთი, აბისი, აბისისთავი, ბერძენაული; სოფლების ახალსოფლის და მოხისის დევნილთა ჩასახლებები) მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან ნარჩენების გატანის; ქარელის და აგარის ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავების და სანიაღვრეების გაწმენდის ღონისძიებებს.

ბ.გ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებობს სასმელი წყლის პრობლემები; მოძველებულია და მწყობრიდანაა გამოსული სასმელი წყლის შემკრები აუზები და შიდა ქსელები და სათავე ნაგებობები. ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წელს იგეგმება სოფლების საციხურის და ცერონისის სასმელი წყლის ჭაბურღილის და სისტემების მოწყობა, გამრიცხველიანებით, რითიც გააუმჯობესდება აღნიშნული სოფლის 1500 მოსახლის ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო პირობები. ასევე იგეგმება „სოფ. ზ.ხვედურეთის წყალმომარაგების ნაწილის რეაბილიტაცია“

ბ.დ) საკადასტრო რუკების მომზადება (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების და მიწების ელექტრონული ნახაზებისა და საკადასტრო გეგმების მომზადება.

ბ.ე) ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქარელის მუნიციპალიტეტში (ქარელი, აგარა, ბებნისი, ბრეთის მეურნეობა) არსებული მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი მძიმე მდგომარეობაშია; სარეაბილიტაციოა, სადარბაზოები და სარდაფები, გასამაგრებელია საძირკვლები; აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის სამუშაოები ამხანაგობებთან თანადაფინანსებით ან მის გარეშე;

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მოსახლეობის დასვენების და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით 2016 წელს იგეგმება ქარელის მუნიციპალიტეტში გამწვანების სამუშაოები, არსებული სკკერებისა და პარკების მოვლა,



ხეების დარგვა და შადრევნის მოვლა-შენახვა

გ.ა) გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 01)

გამწვანების და ხეების მოვლის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა ქ. ქარელში, დ. აგარაში, სოფ. რუისში, სოფ. ბერძენაულში განხორციელდება ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. ხოლო ხეების მოვლა (გადაბელვა, მოჭრა) განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ ხეებზე, ამორტიზებული ხეები საფრთხეს უქმნის როგორც მოსახლეობასა და ასევე ინფრასტრუქტურულ ობიექტებს. აღნიშნული ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს ქ. ქარელში ნინოშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის და შადრევნის მოვლა-შენახვას.

გ.ბ) ეკლესიების და სასაფლაოების შემოღობვა (პროგრამული კოდი 03 03 03)

აღნიშნული ქვეპროგრამით დაგეგმილია აგარაში სასაფლაოს შემოღობვა

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

ადამიანის სწორი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა სკოლამდელი აღზრდა. ქარელის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით სკოლამდელ განათლებას იღებს 1300 -ზე მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა საბავშვო ბაღის მიმდინარე ხარჯები და დაგეგმილია საბავშვო ბაღების მცირე ნაწილის სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

ა) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით იგეგმება რუისიში და ზემო ხვედურეთში არსებულ საბავშვო ბაღებში გათბობის სისტემების მოწყობა და მცირე სარემონტო სამუშაოები. აღნიშნულ ბაღების ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 250 ბავშვამდე;

ბ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ქარელის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქარგვის, ხალიჩების ქსოვის, თექაზე მუშაობის, კულინარიის და სხვადასხვა მუსიკალურ ინტრუმენტებზე დაკვრის, მხატვრული კითხვის შემსწავლელი კურსები. ხელფასის სახით ანაზღაურდება წრის ხელმძღვანელები (5 მასწავლებელი, 81 მოსწავლე) მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ



შესაბამისი პრობემების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით დაგეგმილია სპორტის სახეობათა პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში, მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე, მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მოზადებისათვის სასწავლო-საწრთვინო და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა. 2017 წლის განმავლობაში 700-მდე სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ძიუდოს, სამბოს, ქართული ჭიდაობის სექციები, სადაც 440-მდე ბავშვებთან მუშაობს 19 მწვრთნელი. ფუნქციონირებს ასევე ფეხბურთის სექცია, სადაც 149 ბავშვთან მუშაობს 5 მწვრთნელი. განსაკუთრებული წამატებით გამოირჩევა ჭადრაკის სექცია, სადაც გაერთიანებულია 53 ბავშვი და 2 მწვრთნელი. ფუნქციონირებს ასევე კრივის, კიკბოქსინგის და ხელბურთის სექცია, სადაც გაერთიანებულია 55 ბავშვი და 2 მწვრთნელი.

სოფლებში ქვენატკოცა და კნოლევში იგეგმება მინი სტადიონების მოწყობა.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის კულტურული და გასართობი ღონისძიებების მოწყობა. სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში არსებული შემოქმედებითი კოლექტივების გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სახის კულტურული ღონისძიების მოწყობა:

- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- პოეზიის დღე (ადგილობრივი პოეტების წარმოჩენა და დაჯილდოება).
- 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- ქარელის მუნიციპალიტეტში ღვაწლმოსილი კულტურის მუშაკებისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- 9 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება-შეხვედრა ომის ვეტერანებთან.
- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- ილიას შემოქმედებითი საღამო
- ეკოტური და ექსკურსია ძამას ხეობაში ეკოტურის მონაწილეობისათვის
- სოხუმი ჩვენი ტკივილია
- ხატვის კონკურსი
- ექსკურსია ახალგაზრდებისათვის, კონკურსებში გამარჯვებული ბავშვებისათვის;
- ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვთა და უფროსთა შორის ინტელექტუალური თამაში რა ? სად? როდის?
- ვიქტორინა (ინტელექტუალური შეჯიბრი ქარელის მუნიციპალიტეტის ისტორიის ბშესახებ)
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა(ალბომის შექმნა შიდა ტურისტულ პოტენციალზე)
- კლასიკური მუსიკის ფესტივალი
- საახალწლო ღონისძიებები
- ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა მონაწილეობა მონაწილეობა რეგიონალურ და რესპუბლიკურ კულტურულ ღონისძიებებში.
- სხვა ინიციატივები (სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან შემოთავაზებული ღონისძიებების დასაფინანსებლად და აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ღონისძიებებისათვის).

ბ.ბ) სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)



ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს ქარელის და აგარის სახელოვნებო სკოლა და რუისის მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 500 – მდე ბავშვი. სასწავლო წლის განმავლობაში ერთ მოსწავლეზე გადასახადი შეადგენს 100 ლარს, რაც არ არის საკმარისი მოსწავლეთა სწავლებისათვის და სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სხვადასხვა კონკურსებისა და ფესტივალების ჩატარების უზრუნველყოფას. ქარელის სახელოვნებო სკოლისათვის გამოყოფილია – 81 500 ლარი; აგარის სახელოვნებო სკოლა 69 207 ლარი; რუისის სამუსიკო სკოლა- 67 843 ლარი; აღნიშნულ სკოლებში ფუნქციონირებს ფორტეპიანოს და ვიოლინოს განყოფილებები, ასევე სიმღერის გუნდები, „ქოზიფა“, „აგარა“, „მროვი“.

ბ.გ) ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქარელი მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკის ფუნქციონირების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ასე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისათვის, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით. აღნიშნული პროგრამა ფინანსდება.

